საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოლაღური

მოლაღური

მოლაღური, გულყვითელა (Oriolus oriolus), ფრინველი ბეღურასნაირთა რიგისა, მოლაღურისებრთა ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძეა 25 *სმ*, ფრთაშლილისა – 45 *სმ*, მასა – 50–90 *გ*. შეუძლია 70 *კმ/სთ* სიჩქარით ფრენა. მამალს მოოქროსფრო-მოყვითალო შავნარევი ბუმბული აქვს, დედალს და ახალგაზრდა მ-ს – მომწვანო; მკერდი ლაქებითაა დაფარული. გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, სამხრ.-დას. აფრიკაში. ზ. დ. 4300 *მ*-ზე ადის. საქართველოში ბევრგან გვხვდება. მობუდარ-გადამფრენი ფრინველია. ბუდეს იკეთებს ხეებზე. დებს 1–6 (ძირითადად 2–3) ჭრელ კვერცხს. იკვებება მწერებით, მ. შ. შებუსვილი მუხლუხოებით, იშვიათად – კენკრით, ხილით (განსაკუთრებით მიგრაციის წინ და მიგრაციისას), ყლორტებით, ყვავილებით, ზოგჯერ წვრილ ბეღურასნაირთა ბარტყებით. მისი გალობა ფლეიტის ხმას ჰგავს, ხმამაღლა სტვენა კი – კატის კნავილს, ასევე ახასიათებს ჩუმი ხრჭიალა ხმები (შევარდნისებრთა მსგავსად). ხალხური სახელწოდებაა ბიჭო-გოგია.

რ. ჟორდანია

ა. ბუხნიკაშვილი